სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

99536635385220

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200813233

რეგისტრაციის თარიღი

09.10.2020 წ

ნოტარიუსი: მაკა შარაბიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქ. N 9
ტელეფონი: 591 80 72 75

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ოცი წლის **ცხრა ოქტომბერს** მე, ნოტარიუსს საქართველოში მაკა შარაბიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ნავთლუღის ქ. N 9, მომმართა **ალექსანდრე დიღმელაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს „ისანი გარდენსი“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი 406302923) დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ალექსანდრე დიღმელაშვილმა** (დაბადებული 21.04.1970წელს, დაბადების ადგილი – საგარეჯო, პირადი N01029002563, მისამართი: **ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 36დ, ბინა 38**) მომმართა.

მე შევამოწმე **ალექსანდრე დიღმელაშვილის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი არის შპს „ისანი გარდენსი“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი 406302923) დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20018162, 21/02/2020 12:07:52.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, აგრეთვე განვუმარტე, რომ მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **ალექსანდრე დიღმელაშვილი,** როგორც შპს „ისანი გარდენსი“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი 406302923) დირექტორი, ამ მინდობილობით ვენდობი **დავით კაშიას** (დაბ. თარიღი: 03.02.1993წელს, პირადი N31001051434) იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელწიფო დაწესებულებაში, საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივ თვითმართველ ორგანოებში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, სსიპ ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, გამწვანების სამსახურში, ნებისმიერი ორგანიზაციის არქივში, აღიარების კომისიაში, სანოტარო ბიუროში, ქონების მართვის სააგენტოში, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ურთიერთობაში, რაც დაკავშირებულია შპს „ისანი გარდენსი“-ის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე მშენებლობასთან დაკავშირებით, შეიტანოს განცხადება, აწარმოოს ყველა საჭირო ქმედება კომპეტენტურ ორგანოებში, მონაწილეობა მიიღოს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებში, მიიღოს მშენებლობის ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, წარადგინოს შესაბამისი განცხადებები, თანხმობები, ცნობები, დოკუმენტები, ფოტომონტაჟი, აზომითი ნახაზი (მათ შორის ელექტრონული ვერსია), მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოახდინოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია, ფართის დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, კონფიგურაცია/კატეგორიის ცვლილება, ზონის ცვლილება, გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს და აღმოფხვრას ყოველგვარი ხარვეზი, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, გადაიხადოს კანონმდებლობით გათალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალების სესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში დართული აქვს შემდეგი დოკუმენტი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია საზღაური ათი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა და ორი ლარი თანახმად 39 მუხლისა. სულ გადახდილია საზღაური თორმეტი ლარი.

ალექსანდრე დიღმელაშვილი ________________

ნოტარიუსი: მაკა შარაბიძე

GEORGIA. MAKA SHARABIDZE NOTARY 20001021776

